




ხაშურის მოსამაზი



№19 (200)

13 მაისი, ორშაბათი,

2019 წელი

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

7 მაისს, ადმინისტრაციული სახლის სხდომათა დარბაზში, გაიმართა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა. სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი. სხდომაზე, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, საკრებულოს წევრებმა, ცელილებები შეიტანეს საკრებულოს მიერ ადრემილებულ რამდენიმე დადგენილებაში. სხდომაზე, დეპუტატებმა, მხარი დაუჭირეს წინადადებას, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოს საპატიოარქეოსთვის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთი ოსიაურში, სადაც გათვალისწინებულია ეკლესის მშენებლობა) უსასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემის შესახებ. ამავე სხდომაზე, მხარდაჭერილი იქნა პროექტი, რომლის მიხედვითაც, მოხდება, მიმდინარე წლის 31 მარტს მომხდარი სტიქის – ძლიერი ქარის შედეგად დაზარალებულ მოქალაქებზე მატერიალური დახმარების გაცემა. შემდეგი საკითხი – ხაშურის მუნიციპალიტეტის საზღვრებში დასახლების შექმნის შესახებ – დეპუტატებმა მოიწონეს (შესაბამისი განკარგულება იხილეთ გაზეთის პირველ გვერდზე).

სხდომის ბოლოს, საკრებულოს წევრებმა, მოისმინეს მერიის შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების მიერ, 2018 წლის, შესყიდვების გეგმის შესაბამისად განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიში, რომელიც შეფასდა დადებითად (ანგარიში იხილეთ მეორე გვერდზე).



აღინიშნა ფაშიზმზე გამარჯვების 74-ე წლისთავი

9 მაისს, ფაშიზმზე გამარჯვების 74-ე წლისთავთან დაკავშირებით, ხაშურში, მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა მემორიალის მიმდებარე ტერიტორიაზე დონისძიება გაიმართა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა, გიორგი გურასპაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარებმა, მიხეილ ჯანაშვილმა მემორიალი გვირგვინით შეამკის, ხოლო ადგილობრივმა შემოქმედებითმა ჯგუფებმა კონცერტი ჩაატარეს.

აღსანიშნავია, რომ წლის, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს მუნიციპალიტეტისგან საჩუქრები გადაეცათ, ცენტრალური ბიუჯეტიდან კი- 600 ლარიანი ვაჟებრები.

ხაშურში გამართული 9 მაისის დონისძიებების ორგანიზაციორი იყვნენ მერიის განათლების, კულტურის, სპორტის სამსახური და კულტურის ცენტრების გაერთიანება.



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო განკარგულება №46

2019 წლის 7 მაისი, ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში დასახლების შექმნის შესახებ წინადადების მოწონების თაობაზე

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ხაშურში მცხოვრები რვა მოქალაქის 2019 წლის 17 აპრილის (რეგისტრ. 18.04.2019 წ. 01/9) კოლექტიური განცხადება, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში დასახლების შექმნის, დასახლებისათვის შესაბამისი კატეგორიის მინიჭების, დასახლების ადმინისტრაციული საზღვრების დადგენისა და დასახლებისათვის ისტორიული სახელწოდების „ულუმბო“-ს დარქმევის მოთხოვნით.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 22 აპრილის 03/4533 წერილის მიხედვით, საკრებულოს მიერ ზემოსხენებული წინადადების მოწონების შემთხვევაში, მერია უზრუნველყოს დასახლების ადმინისტრაციული საზღვრებისა და სქემატური რუკის მომზადებას, ხოლო საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2019 წლის 7 მაისის დასკვნის შესაბამისად, საკითხი შესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 7 მაისის სხდომაზე მოწონებული იქნა ზემოსხენებული წინადადება.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მოწონებული იქნას ხაშურში მცხოვრები მოქალაქეების 2019 წლის 17 აპრილის წინადადება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში დასახლების შექმნის, დასახლებისათვის შესაბამისი კატეგორიის მინიჭების, დასახლების ადმინისტრაციული საზღვრების დადგენისა და დასახლებისათვის სახელწოდება „ულუმბო“-ს დარქმევის შესახებ;

2. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე;

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. №15).

საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი

მუნიციპალიტეტის მერიის
ზედამხედველობის სამსახურის
ანგარიში 2019 წლის პირველ
კვარტალში გაწეული მუშაობის
შესახებ

7 მაისს, მუნიციპალიტეტის საკრებულოში, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის, აგრეთვე – ინფრასტრუქტურის და ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიებმა მოისმინეს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის



სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, ოთარ მახარაძის მიერ წარმოდგენილი ანგარიში აღნიშნული სამსახურის მიერ, 2019 წლის პირველ კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ. სხდომაზე აღინიშნა, რომ

2019 წელს სამართალდარღვევათა პრევენციის და გასატარებელ დონისძიებათა მიზნით, ზედამხედველობის სამსახურის მიერ ხორციელდებოდა ეტაპობრივი შემოწმება ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. რის შესაბამისადაც, გაფრთხილებული იყვნენ მოქალაქეები საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-თ გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევათა შესახებ აგრეთვე, შეს ხაშურის სამმართველოს პოლიციასთან ერთად ხშირად ხორციელდებოდა ხაშურის ცენტრალური ქუჩების ტროტუარების (რუსთაველის და იმერეთის ქუჩები) გათავისუფლება გარე მოვაჭრეებისაგან.

მოქალაქეებს განემარტათ არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის ზედამხედველობის განხორციელების შესახებ, სამშენებლო საქმიანობაში დარღვევის არსებობის შემთხვევაში, მშენებლობაში მონაწილეობა მიმართ მითითების გაცემის წესის, სამშენებლო ნორმების და სხვა ნორმატიული დოკუმენტაციის მოთხოვნების დარღვევით შესრულებული სამშენებლო სამუშაოების და საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმღებების კოდექსი“-თ გათვალისწინებული საჯარიმო

მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების ანგარიში 2018 წლის შესყიდვის გეგმის შესაბამისად განხორციელებული შესყიდვის შესახებ

2018 წლის განმავლობაში, ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ, გამოცხადებული იქნა 111 ტენდერი 6 991 078 ლარზე, საიდანაც 67 დამთავრდა დადებითი შედეგით, ანუ გაფორმებულ იქნა ხელშეკრულებები.

გამოცხადებული ტენდერებიდან ეკონომიამ შეადგინა 1 577 546 ლარი. გამოცხადებული ტენდერებიდან არ შედგა 36 ტენდერი, 8 ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით.

ელექტრონული ტენდერების საშუალებით ,გაფორმებულია 67 ხელშეკრულება 5 413 532 ლარის შესყიდვაზე.
ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულებისათვის და ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით, არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო, 2018 წელს, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, 9 მიმწოდებელთან დაკავშირებით, წერილობით შეტყობინებით მიემართა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს და სააგენტოს მიერ, შავ სიაში იქნენ დარეგისტრირებულები 9-ვე ორგანიზაცია, მოგეხსენებათ, რომ შავ სიაში დარეგისტრირებულ პრეტენდენტს/მიმწოდებელს შავ სიაში რეგისტრაციდან ერთი წლის განმავლობაში, არ აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო შესყიდვაში და დადოს, ხელშეკრულება.

პრეტენზიას მიერ, გასაჩივრებული იქნა 2 ტენდერი: 1. „სოფელ ზემო ოსიაურში გზის მოასფალტების სამუშაობზე“ გა-მოცხადებული აღკიტრონული ტენდერი NAT180001759, რომელიც სახალმწიფო შესყიდვაზეან და კაშირებულ დავიბის აანთოვის

სანქციების შესახებ

ზედამხედველობის სამსახური საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ თანახმად, საქმის წარმოებას მითითების ან შემოწმების აქტის გაცემით იწყებს, რის შესაბამისადაც, 2019 წლიდან დღემდე, ზედამხედველობის სამსახურის მხრიდან, სულ გაცემულია სამშენებლო სამართალდარღვევის ფაქტზე 4 მითითება, ხოლო სამშენებლო სამართალწარმოება დაიწყო 4 შემოწმების აქტით, რაზედაც გატარდა კანონით გათვალისწინებული საჯარიმო ღონისძიებები.

မიმდინარე და დასრულებულ მშენებლობებზე, რომელშიც გამოვლინდა სამშენებლო სამართალდარღვევა ზედამსხველობის სამსახურის მხრიდან განხორციელდა კანონით მინიჭებული უფლება-მოვალეობები და მოქალაქეებს დაეკისრათ საჯარიმო

სანქციები, რის საფუძველზეც, ხაშურის მუნიციპალიტეტის მე-
რიის ბიუჯეტში საჯარომო სანქციებით, 2019 წელს, შემოსულია
2000 ლარი. ამ მომენტისთვის, მიმდინარეობს სასამართლოში
პროცესები, ამხანაგობა „ბმა“ -ს 2000 ლარით დაჯარიმების
შესახებ, ასევე „ხაშური 2012“ -ს 1000 ლარის დაჯარიმების
შესახებ, მოქალაქე მარინა მარგველაშვილის 400 ლარით და-
ჯარიმების შესახებ, ამასთან ერთად, ხაშურის რაიონულმა სა-
სამართლომ, ძალაში დატოვა ხაშურის მუნიციპალიტეტის მე-
რიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ მოქალაქე გიორგი
აბუთიძის 20 000 ლარით დაჯარიმების და დემონტაჟის შესახ-
ებ გამოტანილი დადგენილება.

პრევენციის მიზნით, პროექტებს, რომელთაც მშენებლობის ნებართვის ვადები უმთავრდებათ ვადის დასრულებამდე 2 თვით ადრე, გაეგზავნათ გაფრთხილებები, რომ თვალყური ადევნონ მშენებლობის ნებართვით განსაზღვრულ ვადებს, რათა მათ მიმართ მშენებლობის ვადის გაშვებამ, არ გამოიწვიოს კანონით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გამოყენება.

ზედამხედველობის სამსახურის მიერ, 2019 წელს, ექსპლუატაციაში იქნა მიღებული 21 მშენებლობადამთავრებული ობიექტი.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში, 2019 წლიდან, შედგა 2 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი, ხოლო 4 ოქმი შედგა ნარჩენების მართვის კოდექსის დარღვევის ფაქტზე, რომლებიც განსახილვალად გადაიცა სასამართლოს.

ტურისტული სეზონის დაწყებამდე, ზედამხედველობის სამსახურის მიერ, 2019 წელს, დაიწყო ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული უნებართოდ განთავსებული უსახური ჯიხურების მესაკუთრეების (მფლობელები) გაფრთხილება. მესაკუთრეებს მიეცათ გონივრულ ვადა შესაბამისი ღონისძიებების გასატარებლად, ამ ვადის გასვლის შემდეგ, ზედამხედველობის სამსახურის მიერ, დემონტაჟი ჩაუტარდა სახელმწიფო ტერიტორიაზე განთავსებულ 36 ჯიხურს და ტერიტორიაზე განთავსებულ 8 ჯიხურს. ეს პროცესი არ დასრულებულა და ყოველდღიურ რეკიმში, ეტაპობრივად მიმდინარეობს ქალაქის ტერიტორიის გათვისუფლება უსახური ჯიხურებისგან.

കുട്ടികൾ - ശ്രീ ടാം വിജയന്നരു

სამუშაო - ამ დაკვირვებულიდან;
2. „ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიშეთში გზის მოას-
ვალტების სამუშაოების“ შესყიდვაზე გამოცხადებული ელექტრო-
ნული ტენდერი NAT180001758, რომელიც სახელმწიფო შესყიდვებთან
დაკავშირებულ დავების განხილვის საბჭოს მიერ - მიჩნეულ
იქნა დაუშვაბლად.

2018 წლის განმავლობაში სულ განხორციელებულია 207 შესყიდვა, რამაც, გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, შეადგინა 5 692 434.15 ლარი, ფაქტობრივად გადახდილმა თანხამ კი შეადგინა 4 653 726.53 ლარი;

ზემოაღნიშნული შესყიდვებიდან, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ხელშეკრულებები გაფორმებულია 278 901.85 ლარის შესყიდვაზე, ფაქტობრივად გადახდილმა თანხამ შეადგინა 252 590.53 ლარი:

ელექტრონული ტენდერების საშუალებით, ხელშეკრულებები გაფორმებულია 5 413 532.30 ლარის შესყიდვაზე, ფაქტობრივად აადახილმა თანხამ შეადაინა 4 401 136.00 ლარი;

2018 წელს, მრავალწლიანი შესყიდვა განხორციელდა 607 728.835 ლარის ტენდერებზე, რომლის მიწოდების ვადად განისაზღვრა 2019 წელი.

ამართებული შესყიდვის საშუალოაბით კაფორმებულია 4 ხა-

ელექტრონული ტენდერების საშუალებით გაფორმებული 3 ხელშეკრულება;

(შესაბამისი ცხრილები შეგიძლიათ იხილოთ მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე <http://www.khashuri.org.ge>)

მარიამ გოგალაძე,
ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის
შესყიდვებისა და მატერიალურ ტექნიკური
უზრუნველყოფის განვითარების მეორადი სტრუქტურული
კრთალობის ხალმძღვანელი

საქართველოში ტურიზმის განვითარებისთვის აუცილებელი პირობები რეგიონები მუზეუმების განვითარება. მუზეუმებში დავა-ნებულია ქვეყნის ისტორიის ამსახველი ის მდიდარი მასალა, რომე-ლიც ადგილობრივი თუ უცხოელი ტურისტებისთვის, ამა თუ იმ რე-გიონის შესახებ, სრულყოფილ წარმოდგენას ქმნის. მაგრამ საჭიროა მნახველებისთვის ღია და თავისუფალი სივრცეების შექმნა მუზეუმებში და ეველაზე მთავარი, გათა-ვისუფლება ძველი შეხედ-ულებებისგან, რაც ძალიან აფერებს განვითარებას. მუზეუმის ცურისცული პო-საჭიროა მუზეუმის პე-სონალის პროფესიული განვითარება თანამედროვე მოთხოვნათა შე-საბამისად.


სწორედ ამიტომ, 2019 წლის იანვრიდან, ხაშურის სამუზეუ-
მო გაერთიანებაში მიმდინარეობს პროექტი: „ტრენინგები ხაშურის
სამუზეუმო გაერთიანების თანამშრომელთა პროფესიული განვი-
თარებისა და შუზეუმის ტურისტული პოტენციალის ასამაღლებლად“,
რომელიც ხორციელდება ხაშურის ამერიკის კუთხის მიერ ამერიკის



საელჩოს მხარდაჭერით. (Khashuri American Corner). პროექტის მენეჯერია ამერიკის კუთხის კოორდინატორი ქეთევან მეტრეველი. პროექტს კოორდინირებას უწევს მზია ლობჟანიძე.

ხაშურის ამერიკის კუთხე გაიხსნა 2004 წელს და მიღებული აქვს რამოდენიმე გრანტი. ის აქტიური თანაპარტნიორია არაერთი ადგილობრივი საგანმანათლებლო, საჯარო და არასამთავრობო ორგანიზაციის: „თანაპარტნიორი“, „აქტიურ მოქალაქეთა კავშირი“, „ხაშურის სოფლის საბჭო“ და სხვ. ხაშურის ამერიკის კუთხეს განხორციელებული აქვს არაერთი აქტივობა და პროექტი ამ ორგანიზაციებთან ერთად, მაგ: „ახალგაზრდობა დაცული მომავლისთვის“, „ძლიერი სოფელი, ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება“, „ადრეული ქორწინების პრევენცია“, „ქალთა სამოქალაქო და პიროვნული გადლიერება“ და სხვ. სწორედ, ამიტომ, განსაკუთრებით საგულისხმოა ჩვენი მუზეუმის თანამშრომლობა მათთან. ამჯერად მუზეუმის ტურისტული პოტენციალის ამაღლებასთან დაკავშირებული ჩვენი მიზნები დაემთხვა მათ მიზანს, რაც გულისხმობს რეგიონში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობას. მშეიღობის კორპუსის მოხალისეები, გაცვლითი პროგრამების კურსდამთავრებულები, მოხალისე ტრენერები და უნივერსიტეტის სტუდენტები აქტიურად არიან ჩართული ამერიკული კუთხის პროგრამების დაგეგმვარებასა და განხორციელება-ში.

პროექტის პრეზენტაცია გაიმართა 10 იანვარს. პროექტში მონაწილე ტრენერები არიან: მოწვეული სპეციალისტი: სალომე ცისკარიშვილი (ილიას უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ICOM GEORGIA-ს თანადამფუძნებელი, ხელოვნებათმცოდნე, მუზეოლოგი), თამაზ ლაცაბიძე(ხაშურის სამუზეუმო გაერთიანების მმართველი, ისტორიკოსი), მზია ლობჟანიძე(ხაშურის მხარეთმცოდნების მუზეუმის ფონდების მთავარი მცველი, ისტორიკოსი-ეთნოგრაფი), დარეჯან ტაბუცაძე(ხაშურის მხარეთმცოდნების მუზეუმის რესტავრატორი, გეოგრაფი-კარ-



პროექტის სამიზნე ჯგუფები ხამურის საჭუბეულო გაერთიანებაში შემავალი მუზეუმებია: ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი(22 თანამშრომელი), ქვიშეთის დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმი(7 თანამშრომელი) და

მუზეუმო გაერთიანების
უდი განვითარებისა და
ენციკლიკის ასამაღლებლად
სურამის ლესია უკრაინას
მუზეუმი(ხ თანამშრომელი).
პროექტის მთავარი მიზა-
ნია მუზეუმის თანამშრომ-
ლების წვრთნა მათი პრო-
ფესიონალიზმის ამაღლების
თვალსაზრისით. მიღებული

პროფესიული ცოდნა და უნარები წინაპირობა იქნება მუზეუმების თანამშრომელთა მზადყოფნისთვის ტურისტთა ნაკადებისა თუ აღგილობრივი ტურისტების მუზეუმში ვიზიტის დროს.



არეობს თეორიული და პრაქტიკული მუშაობა ხელნაწერი და ნაბეჭდი დოკუმენტების, ფოტოების, არქეოლოგიური კერამიკული მასალის რესტავრაციის თაობაზე, სამუზეუმო ექსპონატების მშრალი და სეელი წესით წმენდის, დეზინფექციის, სანიტარული გასუფთავების, შეფუთვის და ა. შ. წესებზე. თითოეული თემის ფარგლებში აქცენტი კეთდება რამდენიმე აქტუალურ და პრაქტიკული გამოყენებისთვის საჭირო საკითხებზე.

ტრენინგების შედეგად, უკვე შეიძლება ჩაითვალოს პრაქტიკულ მეცანიკობებზე წარმოდგენილი ორი პრეზენტაცია: „ბავშვთა ინფექციურ დაავადებებთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები(ბატონები) ხაშურის მუნიციპალიტეტის მაგალითზე“(მ. ლობჟანიძე) და „1804 წლის კამერალური აღწერები და ხაშურის მუნიციპალიტეტი“ (დ. ხაჩიძე).

ტრენინგები ჯერ კიდევ გრძელდება. აღსანიშნავია, რომ საშურის სამუზეუმო გაერთიანების თანამშრომლებისთვის ძალიან საინტერესო და შედეგიანი აღმოჩნდა სწავლების თითოეული საფეხური, თითოეული თემის ირგვლივ გამართული საუბარი-დისკუსია თუ ჩატარებული პრაქტიკული მცირდინეობა. ვფიქრობთ, ტრენინგების დასრულების შემდეგ, შეიცვლება თითოეული თანამშრომლის დამოკიდებულება დაკისრებული მოვალეობებისადმი, კოლეგების საქმიანობისა და სამომავლო თანამედროვე სტანდარტების პროექტების განხორციელებისადმი.

მზია ლობჟანიძე,
ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდების მთავარი
მკვეთრი

(გაგრძელება. დასაწყისი იხ „ბმ“ #5, 6, 7, 9, 11, 12, 14, 15, 16, 17, 18)

1711 წელს, ქართლის მეფემ, ქაიხოსრომ, ვახუშტი აპაშიძეს უბოძა „ამოვარდნილის აპაშიძის პატას მამული“, მათ შორის იყო მონასტერიც. ამის შესახებ წყალობის წიგნში ნათქვამია: „...დაგიმკიდრეთ სამამულედ ყოვლის კაცის უცილებლად მისი (ე. პატა აპაშიძის) ნაქონი მონასტერი სასაფლაოდ, წინამდგვარი ხატი და ჯვარი და ყოველი მისი რიგი და წესი“. ამავე სიგელში სახასო მამულების ხამონათვალში კვლავ ვევდებით მონასტერს.

როგორც ვხედავთ, მონასტერი ქართლის აპაშიძების საძაღლე ადგილია. აქ წმ. გორგის ეკლესიასთან აღმოჩენილია რამდენიმე აკლდამა, რაც ზემოთ აღნიშნულს უნდა ადასტურებდეს.

1715 წლის რუსის სამწყსოს დავთარში მონასტერიდან 6 კომლია დაფიქსირებული (ქურდამუ (2), ღონებაშვილი, ურცხვერაშვილი, ხარატი).

მონასტერმა XVIII საუკუნის მთელ მანძილზე არაერთხელ განიცადა ლეპა ამაოხერებული თავდასხმები.

1865 წელს, მონასტერში 3 კომლი მოსახლეა (1 სახელმწიფო და 2 დროებით კალდებული).

1886 წლის აღწერით კი, აქ უკვე 24 კომლი ცხოვრობს (83 კაცი და 65 ქალი, სულ 148 კაცი), რომელიც, ეროვნული თვალსაზრისით, მთლიანად ქართველები არიან.

1925 წელს მონასტერში 60 კომლი მოსახლეა

აქ სახლობენ გვარები: გელაშვილი, კვინიძე, ლომიძე, ლონდაძე, შერგელაშვილი, ჩაძენელი...

სოფლის სახელწოდება მომდინარეობს სიტყვა მონასტერიდან. ეს კი იმაზე უნდა მიგანიშნებდეს, რომ აქ მონასტერია. ისიც უნდა ვიფიქროთ, რომ თავის დროზე აქ სამონასტრო ცხოვრებაც მიმდინარეობდა. „მონასტერი ლათინურია, ქართულად სამხრუნველო ჰქვიან მონახონთა საკრებულოსა“ (საბა).

ამავე სახელწოდების სოფლები მდებარეობს ახალგორის რაიონში (ს. გლუსა და ს. წინაგორის საკრებულოებში).

მონასტერში მდებარეობს წმ. გორგის ეკლესია, რომელიც ადრეფერდალური ხანით თარიღდება.

მურუნისწყარო – სოფელი, მდებარეობს ლიხის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, აღლის ფრონებს (ჭერათხევის) ხეობაში. ხაშურიდან დაშორებულია 31 კოლომეტრით, ზ.დ. 840 მ. შედის წალენის სასოფლო საკრებულოში.

ვახუშტი და ორანე ბატონიშვილები ამ მხარეში ასეთ სოფელს არ აფიქსირებენ, იგი არც ქართულ ისტორიულ და ეკონომიკური ხასიათის ძეგლებში გახვდება.

1886 წლის აღწერით, აქ 6 კომლი მოსახლეა (14 კაცი და 15 ქალი, სულ 29 კაცი), რომელიც, ეროვნული შემადგენლობის თვალსაზრისით, მთლიანად ქართულია.

აქ სახლობენ გვარები: გელაშვილი, ლომიძე, კაპანაძე...

სახელწოდება მცენარეული წარმოშობისა და მიღებულია სიტყვათშე-ერთებით. მსაზღვრელია მურუნი, ხოლო საზღვრული წერა. ორივე არსებოთ სახელია. მურუნი (მურუნი) ხე თხმელა.

მშვლისური – იხ. შლუეური

მცხეთისგარი – სოფელი, მდებარეობს შიდა ქართლის ვაკეზე, მდ. ჭერათხევის (იგივე აღის წყალი, აღის ფრონებს მარცხენა მხარეს). ხაშურიდან დაშორებულია 28 კილომეტრით, გომიდან (უახლოესი რეინიგზის სადგური) 16 კმ-ით, ზ.დ. 800 მ. შედის აღის სასოფლო საკრებულოში.

ვახუშტი და ორანე ბატონიშვილები მცხეთისჯვარს არ იცნობენ, თუმცა ქართულ ისტორიულ და ეკონომიკური ხასიათის ძეგლებში გახვდება.

იგი ამირჯიბების მამულია.

ბაგრატ III იმერთა მეფის ხელშეწყობით, 1527-1556 წლებში, სხვა სოფლებთან ერთად, იგი ბაგრატიონ-დავითიშვილებმა შეიძინეს.

1886 წლის აღწერით, აქ 5 კომლია (30 კაცი და 26 ქალი, სულ 56 კაცი), რომელიც დასავლეთ საქართველოდან, კერძოდ, იმერეთიდან არიან გადმოსულები. ეროვნული შემადგენლობის თვალსაზრისით მოსახლეობა მთლიანად ქართულია.

აქ სახლობენ გვარები: გელაშვილი, გოგალაძე, დევაძე, კურტანიძე, მულაძე, ხოზაძე, ხარაზიშვილი, ჯერაბარიშვილი...

სახელწოდება მცხეთისჯვარი სიტყვათშეერთებით არის მიღებული. აქ მსაზღვრელია – მცხეთა, ხოლო საზღვრული – ჯვარი. ორივე არსებით სახელია.

გადმოცემით, მცხეთისჯვრის მიღამოებში მცხეთიდან, სვეტიცხოვლიდან წამოღებული ჯვარი დაუკარგავთ და ამის შემდეგ დასახლებულ ადგილს მცხეთისჯვარი დარქმევია.

მცხეთისჯვარში შემორჩენილია წმ. მარინეს ეკლესიის ნანგრევები, რომელიც თარიღდება გვიანეულდებული ხანით.

ნაგახტევი – სოფელი, მდებარეობს აღის ფრონებს (ჭერათხევის) ხეობაში, მდინარის მარჯვენა მხარეს. ხაშურიდან დაშორებულია 20 კილომეტრით, გომიდან (უახლოესი რეინიგზის სადგური) 8 კმ-ით. ზ. დ. 720 მ. შედის აღის სასოფლო საკრებულოში.

ნაბახტევი ხაშურის რაიონში ერთ-ერთი უძველესი სოფელია. იგი ცნობილია დავთისმშობლის ეკლესიით და მისი კედლის მხატვრობით. აქ კურადღებას იქცევს ისტორიულ პირთა ფრესკები (აღმესანდრე I დიდი, ქუცანა მიორჯები და სხვა).

ვახუშტი ბატონიშვილის ნაბახტევის შესახებ აღნიშნავს: „ვაყას ზეით არ საბახტევი და ნაციხევარი“.

ნაბახტევი ქართულ ისტორიულ წყაროებში XV საუკუნის დასაწყისიდან გვხვდება. იგი ცნობილი ფეოდალური გვარის – ამირჯიბების რეზიდენცია უნდა ყოფილიყო, რაზეც მიგანიშნებს არა მარტო ქუცანა ამირჯიბების ცნობილი სიგვარი, არამედ დავთისმშობლის ეკლესის გარშემო შემორჩენილი საცხოვრებელი თუ სამეურნო დანიშნულების ნაგებობების კვალი. ქუცანა ამირჯიბების სახელობა დაკავებული ფეოდულია თემერ-ლეზების მიერ 1403 წელს აოხრებული აღისწყლის ხეობაში განვითარებული და აღმშენებლობით საქმიანობა, გარდა ულუმბის, აღის სხვა ცნობილი პუნქტებისა, ქუცანა ნაბახტევიც აღადგინა.

კარგად ჩანს, რომ დავთისმშობლის ეკლესიას გალავანი პეტრი მეფე და დასავენებელი. მას საქმაოდ დიდი ფართობი უკავია. სამხრეთი შემორჩენილია გალავანის კედლის ნაწილი. გალავანის ნაშთი კარგად ჩანს ჩრდლოეთის მხარესაც. აღბათ, ეს უნდა იყოს ვახუშტის მიერ მოხსენიებული ნაციხევარი. ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთით შეიმჩნევა შენობების საძირკვლის ნაშთები.

მოგვიანებით, 1609 წლიდან, ნაბახტევი სააკადემიის გვარის კუთვნილებას წარ-

მოადგენს. 1685 წლის გიორგი XI-ის წყალობის წიგნიდან ირკვევა, რომ ნაბახტევში ბეგთაბეგ შანშეან მარტიროზაშვილი (ბეგთაბეგიშვილი – თ.ლ.) აქვს მამულები, რომლებიც ამ გვარს ერთი პამორთმეული ჰქონია და რეგაზ ამირჯიბები ფლობდა: „...თევენი მკვიდრი და ნასყიდი სოფელი წაგარებული და გამოიციოთ...“

როგორც ვხედავთ, ბეგთაბეგ შანშეან მარტიროზაშვილს ნაბახტევი ნასყიდი აქვს, თუ როდის ან ვისგან არ ჩანს.

საკითხის გარევების შემდეგ, გიორგი XI კვლავ უბრუნებს ნაბახტევის მარტიროზაშვილს: „...შეგიწყვდეთ და მოგიბოძეთ ისევ თქვენი მკვიდრი და ნასყიდი სოფელი წაგარებული....“

1715 წლის რუსის სამწყსოს დავთარში ნაბახტერში 6 კომლია დაფიქსირებული (ქურდამუ (2), ღონებაშვილი, ურცხვერაშვილი, ხარატი).

1715 წლის რუსის სამწყსოს დავთარში ნაბახტევი ნაბახტევი არის დაფიქსირებული, მარტიროზაშვილი (ქურდამუ (2), ღონებაშვილი, ურცხვერაშვილი, ხარატი).

1715 წლის რუსის სამწყსოს დავთარში ნაბახტევი ნაბახტევი არის დაფიქსირებული მარტიროზაშვილი (ქურდამუ (2), ღონებაშვილი, ურცხვერაშვილი, ხარატი).

ნაბახტევი რაონის სოფელებში მოსახლეობის მრავალრიცხვნებით გამოირჩევა. 1728 წელს, თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში, აქედან დაფიქსირებულია 105 კომლი. აქ დასახლებულია 2 კომლი აზნაური. არის სახასო მამული, ვენახი. ოთხი თვალი წისქილი წლიური გადასახადით – 480 ახას. მოსახლეობა იხდის ყველა საობადო გადასახადს, რაც უდრის 39160 ახას.

ნაბახტევის „სახელების დავთარში აღნიშნების სახელის სახელების მრავალრიცხვნებით გამოირჩევა. 1728 წელს, თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში, აქედან დაფიქსირებულია 105 კომლი. აქ დასახლებულია 2 კომლი აზნაური. არის სახასო მამული, ვენახი. ოთხი თვალი წისქილი წლიური გადასახადით – 480 ახას. მოსახლეობა იხდის ყველა საობადო გადასახადს, რაც უდრის 39160 ახას.

სკოლის საუკეთესო მოსწავლე იყო თამრიკო, არა მარტო სწავლით, ხასიათით და გარეგნობითაც გამოირჩეოდა.

სკოლის დამთავრებისთანავე ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლებელში. მესამე კურსზე იყო, შეევარებულთან ერთად რომ ჩამოვიდა სოფელში. უფრო გამშვინიერებული-საშუალოზე მაღალი, ოდნავ ფერმერთალი, მექი წაბლისფერი თვალები და ოქროსფერი თმები მოემაღლებინათ დმერთებს. ეს იყო ფერების რადაც უცნაურად შესამგბა-მამაკაცებს რომ აღტაცებულ მზერას მოსტაცებს. თოვლივით ქათქათა ყელ-კისერი ჯადოსნურ მომხიბვლელობას და მაცდურ ეშვების მატებდა.

ოჯახს და მეზობლებს გააცნო შეევარებული. ჩემი საქმროაო. თითქოს ახალი ჯანსაღი ოჯახი უნდა შექმნილიყო, რომ მოულოდნელად დასცილდნენ ერთმანეთს. უფრო სწორად, თამრიკომ უგანა...

ნათესავები, მეგობრები, ახლობლები გაოცებულები დარჩნენ, რატომ, რისთვის? თუ არ მოსწონდა, თავიდანვე ჰქონდა, აფხაზე, რა ბიჭი იყო, უკეთესს ვერ ინატრებდა. ზოგმა რა თქვა, ზოგმა - რა, ბევრი ჩერიკეს, ეძიეს, მაგრამ მიზეზი ვერ გაიგეს, არც მშობლები ამბობდნენ არაფერს.

გავიდა დრო. მეზობლებს ახალი საჭორაო გამოუწნდათ და დაივიწებს ეს ამბავი. ორი წლის შემდეგ, ისევ გაიხსენებს. თამრიკო გათხოვდა და ქმართან ერთად ესტუმრა სოფელს. ეს ვის წაჲყოლიაო, რა ბიჭი დაკარგია... ათასი რამე ითქვა, ამ ამბავმაც ჩაიღურის წყალი დალია.

მას შემდეგ, ათიოდე წელი გავიდა. თბილისიდან ვბრუნდებოდი, თამრიკო დამეგმზავრა, ორ შვილთან ერთად ამოვიდა ვაგონში. მაშინვე ყურადღება მიიქცია ხელოვანის ნაძერწივით მშვინიერი სახე პქონდა. შეუფაკლავ დაწვებში სითბო იგრძნობოდა. ეს იყო ბალზაკის ასაკის ნაზი, მგრძნობიარე შეხედულების ქალი, ერთი შეხედვით რომ მოგნუსხავდა.

დამინახა, თუ არა, ჩემკენ წამოვიდა, დიდი სიევარებულით მომიკითხა. კასაში ადგილები გათავისუფლდა და მასთან გადავჯვები. საუბარი ადვილად ავაწევთ. მომიყვა ოჯახის, სამსახურის, მეუღლის შესახებ. სურათებიც მაჩვენა მეუღლესთან ერთად გადაღებული. ქმარი შეუფერებელი მეჩვენა, შემატყო, რომ არ მომეწონა. ცაში ვარსკვლავებს არ წევეტს, მაგრამ ჯელტმენბის ეტალონია, ზრდილობიანი, თავაზიანი, დახვეწილი მანერებით, უზადო ქცევებისაა, სულს რომ ჩაგიდგამს, ისე ეთია. გავტედე და ვკითხე, რატომ დაშორდა პირველ შეევარებულს, მაინც რა მოხდა ისეთი, უბანი რომ აალაპარაკე და დღესაც იხსენებენ: აი, რა მომიყვა:

-პირველად რომ გავიცანი, ძალიან მომეწონა, შესაშური გარეგნობის იყო, მაგრამ რაც უფრო დაუცახლოვდით ერთმანეთს და ახლოს გავიცანი, სულ უფრო და უფრო მეტი ნაკლი დავინახე. პირველი, რაც არ მომწონდა, ჭამისადმი მისი დამოკიდებულება იყო. თითქოს ეუჭის მონებებისთვის იყო დაბადებული. სულ ჭამაზე ლაპარაკობდა, სადაც რომ ექიფი. რა ჭამა, როგორი მწვადი იყო, რა საწებელი, რომელი დვინო მოეწონა. ქელებში როგორი ხაშლამა იყო, კარგად თუ იყო მოხარული და ათასგვარი აბდაუბდა. დიდი გასტრონომიული ალღო პქონდა. ამ დარგის ბრწყინვალე სკეციალისტი იყო. ჭამა-სბა ხელოვნების უმაღლეს დონეზე პქონდა აუკანილი. ერთხელ დაბადების დღიდან მოვდიოდით. ჩართხი როგორი იყო-შემკითხა. ჩართხი რა ჯანდაბაა მეტქი, ეგ არ იციო? ჩართხი ელის ჩასაკოლოზინებელიაო. მაგიდასთან რომ დაჯდებოდა, საჭმლის მეტს ვერაფერს ხედავდა. არც მე მაქცევდა ყურადღებას, ზოგჯერ შემეხმიანებოდა ხოლმე, ჭამე, რას გაჩერებულხარო. შეიძლება კაცი გურმანი იყო, კარგი საჭმლების მცოდნე და მოყვარული, მაგრამ ასე გადარევა? მუსრს ავლებდა უვალაფერს, ორი ყბით ჭამდა.

გულიანად გამეცინა-რა არის სასაცილო, მართალს გეუბნებიო.

სასაცილო ის არის, რომ ორი ყბით ჭამა შეა საუკუნეებშიც სამარცხვინო ყოფილა. დიღებული ღონ კიხოტი არარსებული კუნძულის გუბერნატორად რომ დანიშნეს, სანჩო აანსას დარიგებას აძლევს: ეცადე სანჩო, საჭმელი ორი ყბით არასდროს დეჭო და ნურავის წინ ნუ ერუტარებ". მერე განუმარტა, რომ "ერუტარი" ბოინს ნიშნავს.

...ვაკირდებოდი და თანდათან ნაკლი ჯობდა დადებითს. -ნეკა თითქე გრძელი ფრჩხილი პქონდა. უფრთხარი, რად გინდა, მოიჭერი-მეტქი-რას აშავებსო... ფანოღურ სიმდერებზე ჭკუა ეპეტებოდა... ერთ დღეს ჩამოვიდა თბილისიდან, ზაფხულის არდაღებები იყო, ბორჯომში გავისეირნოთო. წაგედით, საღამოს მარტარებელმა გამოგვასწრო, ტაქსით წავიდეთ, მითხო. გააჩერება ტაქსი გამოადო და მდღოლის გვერდით მოკალით. რადას ვიზამდი, უკან დავჯერებით. ბორჯომში თავისი ავლენი და ნურავის წინ ნუ ერუტარებ".

გულიანად გამეცინა-რა არის სასაცილო, მართალს გეუბნებიო.

პედაგოგი, რომელიც ბუნების დამცველებს ზრდის

ეშირად მოისმენთ, პედაგოგად უნდა დაიბადო, მართლაც, სკოლის კუნძულებში, მოსწავლების და წარმატებების ვერ მიაღწევ, თუ მოსწავლე არ გიყვარს, პროფესია არ გეძინებულება და დღენიადაგ არ იღწი წარმატების მისაღწვად. ჩემი რაიონის პედაგოგების წარმატებებს სხვადასხვა სფეროში ისე მივეჩვით, ჩვეულებრივ ამბად გვეჩერება და თითოეული სკოლის თუ პედაგოგის წარმატებას, რომელიც მიიღწევა დიდი შრომის შედეგად. მოსწავლების საგანთან ერთად, ბუნების სიჭვალეს და მოვლა პატრონის წლების მანძილზე ერთგულად ასწავლის გომის საჯარო სკოლის პედაგოგი ბორჯო გელაშვილი. დედამიწა წაზებულება კლემატის ცვლილება, გლობალურ დათბობას იწვევს, პედაგოგის აზრით „ხითბური ეგვექტის“ შემცირება კი, რაც შეიძლება მეტი მწავანე ნარგავების დარგვა-გაშენება და მოვლა-პატრონიბით შეიძლება. პედაგოგისა და მისი მოსწავლების ზრუნვამ გადაარჩინა გომის ქარსაცავი ხოლი და კანადური ვერხვის ხეები. ბორჯო მასწავლებლების მოსწავლეებმა, დედამიწა და დაგენერაციის დასაცავებით, გომის ქარსაცავი ხოლის მიმდებარედ 52 კანადური ვერხვის ხე დარგეს. იგი გახარებულია, რო

ჩავალ-მეტქი, მაგრამ ხეობაში სად დაგრძნენილიყავი? ისიც ვიფიქრებ, ჩანთას ჩავახეთქებ თავში-მეტქი. ამ ამბავმა მოთმინები ფიალი ამიგსო, შემძლება. სახლში მშობლებს მოვუყევი ყველაფერი, მისი სახელი აღარ გამაგრონორ-თქო-ვუთხარი. ერთი სიტყვით, დავცილდი.

ქმარი დაბადების დღეზე გავიცანი, ჩემს პირდაპირ იჯდა, ყურადღებას არ მაკლებდა, დიდი მოკრძალებით გამიწვია საცეკვაოდ, მერე მადლობა გადამიხადა და სკამამდე მიმაცილა. ჩემი კურსელის ახობელი აღმოჩნდა, იმდენი აქო, რომ უფრო ახლოსაც გავიცანი და ცოლადაც გავევევი. ძალიან ქმარი დაბადების გარეშე ვარ, პირდაპირ ია და ვარდი ამოსდის, მშვიდი, წყნარი, თავაზიანი და ფაქიზი სულის ადამიანია. რას დავვებებ თუ ცოტა დაბადია, ან გრძელი ცხივი აქვს. დახვეწილი მანერების კაცია, ნაძღვილი კეთილშობილი.

მერე ისევ შეევარებული გიცხესენა-ერთი რამ შევნიშნე კიდევ, უსაზღვროდ იყო შეევარებული საკუთარ პერსონაზე. თავისთვის საუბრით ისე დაგლოდიდა, სულ გამოგამტერებდა, საშინლად მოგაბეზრებდა თავს. ისე რომ უყვარდა თავი, იმიტომ დამცილდა ასე ადვილად, იფიქრა, ჩემი დირსი არ არისო.

უბადლო ღირსებით შემკულ გადამინდებრო მოითხოვდი, ოღონდ უმზირო და ესაუბრო. მშვენივრად განსხვრიტა, რა ელოდა და გადადგა გადადგა გადამტყვეტი ნაბიჯი. რამ გამახსენა ზემოთ მოთხოვბილი ამბავი, ერთი და გონიერი ქალის ცხოვრებიდან? დგავილი საზოგადოების მორალური ქავანი დანიშნულების, იდეალისა და მიზნის შეგნება. ამ მთავარი, ე.წ. ონტოლოგიურ(ყოფილების საყვალეთაო საფუძვლები) საფუძვლებზეა დამოკდებული მორალური ცხოვრების მთელი სისტემა. ადამიანის არსებობის აზრი და აქედან გამომდინარე, იდამინაური დირსება, მისი ქცევა უნდა იყოს.

თუ „ქართლის ქრონიკებში“ იმ ადგილებს გადაგხედავთ, სადაც ქართველთა დაბასიათოებაა, ბევრ დღევანდელობის საწინააღმდეგო ფაქტს შევხვდებით. „ნათესავი ქართველთა წრფელი და უმანკო“ (გ. მთავარი და ავტორი) „ბუნებით სადაგნი და გონებით წრფელნ“ (ნ. გულაბერი) ანდა, ვახუშტის ქართველთა ვრცელი დაბასიათოება. მხოლოდ ერთ ადგილს გამოვიყო - „ხოლო ანაგებით არიან კაცი და ქალი წერწეტინი, იშვიათ სქელნი, მხენი, მუშაკი ჭირთა მომთმენი, მკვირცხლი, ამაუნი, ლანი“ და სხვა. თითქმის დღევანდელი ქართველების საპირისპიროა.

ერთხელ, ბატონმა ჯემად კორკოტაძემ ფერებიდნებით ადამიანის დანიშნულების პერსონა როგორ ერთგული და უმანკო და უშერესებრი არსად გვინახვს. ესეც შენი „წერწეტინი“ ან „იშვიათ სქელნი“. მართალია, როგორ ერთხელთა და სამია და დაბასიათოება, ბევრ და უმზირო მოგორი და გადამინდებრო და გ



გაზაფხული ქვიშხეთში

არჩიოლ სუთაშვილის ფოტო

- ანონსი -

ინკუბა ტურნირი მინიფეხბურთში

16-26 მაისს, ხაშურის მუნიციპალიტეტის საორგანომადებელის მინისტრადონზე ჩატარდება, ადგილობრივი ტურნირი მინიფეხბურთში, „დურუს თასი - 2019“.

განაცხადების მიღება წარმოებს ხაშურის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლაში, მიღების ბოლო ვადა 15 მაისი. კენჭისყრა გაიმართება იმავე დღეს 15:00 საათზე.



ორგანიზატორი: ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია.

ხაშურის მუნიციპალიტეტის კომადგენერატური სასპორტო სკოლა.

ტურნირის მხარდამჭერია ტოტალიზატორი ლიდერებთა ხაშურის ფილიალი.

ინფორმაციის მისაღებად დაუკავშირდით სასპორტო სკოლის ადმინისტრაციას.

საკონტაქტო ნომრები:

24-00-54, 599 49 43 01, 591 99 22 25.

„საბიბლიოთეკო ქვირეული - 2019“ დასრულდა

7 მაისს, „ საბიბლიოთეკო კვირეული -2019“ (ბიბლიოთეკა, როგორც არაფორმალური განათლების ცენტრი)საზეიმოდ დაიხურა კვირეულის ფარგლებში, სხ-



ვადასხვა დიონისძიებები და აქტივობები გაიმართა, სადაც აქტიურად იქნენ ჩართულნი, როგორც ბიბლიოთეკის თანამშრომლები, ასევე სკოლის მოსწავლეები.

საბიბლიოთეკო კვირეულის გახსნის დონისძიება 30 აპრილს, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა. „კვირეულიდან კვირეულამდე“-შემაჯამებელი პრეზენტაცია წარადგინა ბიბლიოთეკის დირექტორმა მაკა დიდგინძლივებმ. „ამერიკული საბიბლიოთეკო გამოცდილება“- ამერიკის კოორდინატორმა ქეთევან მეტრევალმა გაუწ-

იარა დაინტერესებულ ახალგაზრდებს; „ბიბლიოთეკა დასაბამიდან დღემდე“-ნინო შებითიძემ. კვირეულის ფარგლებში, არაერთი ღონისძიება დაიგეგმა და განხორციელდა: ბიბლიოთეკა დია ცის ქვეშ-ბიბლიოთეკა არაფორმალური განათლების ცენტრი-კონკურსი „საუკეთესო პოსტერი“-საჯარო სკოლებს შორის; ლიტერატურული გმირების კოსტიუმირებული მსვლელობა ქალაქში, ხდაპრის კითხვა მამებთან, ერთად სკვერში. „აჩუქე წიგნი ავტორაფით“-დატოვე შენი კვალი ბიბლიოთეკაში; ინფაციების ლაბორატორია ბიბლიოთეკაში; „იმპრესიონისტები“-მეოთხველთა თვალით აღქმული სამყარო, კლუბი “ათინათი“.

დახურვის საზეიმო დონისძიებას, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი, გორგი გურასპაშვილი, მერის მოადგილე ზეიად ქურდაძე, ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები და საზოგადოების წევრები ესწრებინა რომელმაც კმაყოფილება გამოთქვეს წლევანდელ კვირეულთან დაკავშირებით.



ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,

მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.

E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.

მონიშნული სტატია იბჟვდება დაკვეთით

გაზეთი იბჟვდება თბილისში.

რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.